ფასი 40 კაპ.

წელიწადი პირველი

# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 4 | კვირა, 28 ივლისი 1918 წ. | № 4

ამირანი — ამ დღეებში გაიხსნება კინო-თეატრი და სასტუმრო — ამირანი

მელიქ-აზარინცის სახლის ბაღში, ვერის დაღმართი, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 2—2

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **40** კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—182.

სახალხო განათლების სამინისტრო ამით აცხადებს, რომ რადგანაც მომავალი სასწავლო წლისთვის საჭიროა გამოირკვეს რიცხვი იმ არა ქართველ მოწაფეთა, რომელნიც, როგორც საქართველოს მოქალაქეთა შვილები, სწავლის გასაგრძობათ სახელმწიფო საშუალო სასწავლებლებში დარჩებიან, წინადადება ეძლევათ არა ქართველ მოწაფეთა მშობლებს ამა წლის 5 აგვისტომდი განცხადება შეიტანონ სათანადო სასწავლებლებში, სურთ თუ არა მათ, როგორც საქართველოს მოქალაქეთ (ქვეშემრდომთ) თავისი შვილები სწავლის მისაღებათ საქართველოს საშუალო სასწავლებლებში დასტოვონ, სადაც სწავლება მათს სამშობლო ენაზე იწარმოებს. (4—3)

## განცხადება

ქვემოთ მოხსენებული საკრედიტო დაწესებულებები ქ. თბილისისა ყველას საყურადღებოდ აცხადებენ: ფულის ნორმალური ფასის აღდგენის მიზნით 25 ივლისიდან 1918 წ. ისინი ღებულობენ ნაღდ ფულს განუსაზღვრელად რაოდენობისა, როგორც მიმდინარე ანგარიშზე, ისე შესანახად სრული გარანტიით, რომ პატრონებს პირველ მოთხოვნისთანავე დაუბრუნდებათ მიბარებული ფული. შეუჩერებლივ ფულის მიღების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორასთან დაარსდა განსაკუთრებული სარეზერვო ფონდი. იმ ფულის გამოტანა, რომელიც შეტანილია 25 ივლისამდე, ჯერ-ჯერობით იწარმოებს ეხლა არსებულ ნორმით.

თბილისის კონტორა სახელმწიფო ბანკისა,
კავკასიის ბანკი,
თბილისის ვაჭართა ბანკი,
ამიერ-კავკასიის კომერციული ბანკი,
ვოლგა-კამის კომერციული ბანკი,
აზოვ-დონის კომერციული ბანკი,
პეტროგრადის საერთაშორისო ბანკი.
თბილისის საზოგადოება საურთიერთო ნდობისა.
თბილისის მეორე საზოგადოება საურთიერთო ნდობისა.
რუსული საზოგადოება საურთიერთო ნდობისა.
სამეურნეო საზოგადოება საურთიერთო ნდობისა.
კავკასიის საზოგადოება საურთიერთო ნდობისა.
ბანკის კონტორა ა. ი. პრიდონოვისა.

3—3

## განკარგულება

### სახალხო განათლების მინისტრისა.

1918 წ. ივლისის 26, № 876 სწავლის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ 1918/9 წ. ივნისამდე.

სასწავლო წელი ყველა ტიპის სასწავლებელში დაიწყოს მიმდინარე წლის 20 სექტემბერს და გაგრძელდეს 1919 წლის 20 ივნისამდე.

სახალხო განათლების მინისტრი: გ. ლასხიშვილი.
დედანთან სწორია
საქმის მწარმოებელი: ი. ხარაძე.

3—1

## კახეთის რკინის გზის სამმართველო

აცხადებს, რომ აგვისტოს 6 ამა 1918 წ. დანიშნულია შეჯიბრება სამუშაოს გაცემაზე მე-33 ვერსტზე, იორის ხიდთან, რაიც შესდგება შემდეგიდან: 1) აგება ხიდის ყურისა დასამაგრებლად კედლისა ზემო მხრიდან თბილისის მხრივ; 2) არსებულ კედლების ჯებირების (დამბების) დამთავრება; 3) შეკეთება წყლის სარეკის 3 ჯებირებისა, არსებული ჯებირების სათავების გაკეთება.

## მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებული

ყარაიაზის სათიბში თივის შეგროვებისა,

ამით აცხადებს, რომ იმლევა ფოდრათებს ყარაიაზის სათიბში თივის შესაგროვებლად პირობების გაგება შეიძლება რწმუნებულის კანცელარიაში, მიწათმოქმედების სამინისტრო, 10—2 საათ. გარდა უქმეებისა. (2—1)

## განცხადება

### საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

№ 1.

22 ივლისი 1918 წ. ქ. თბილისი. საქართველოს ჯარების საველე შტაბი სამხედრო მოსამსახურეების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ამა წლის ივლისის 22 სამხედრო გიმნაზიაში (კადეტთა კორპუსის ყოფილი სასწავლებელი) გაიხსნა ქართული ენის ორ-თვიანი კურსები (წერა, კითხვა, საქართველოს ისტორია და ლიტერატურა) გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით. კურსებზე ჩაწერა შეიძლება ყოველდღე 7—9 საათამდე სამხედრო გიმნაზიის შენობაში, კურსების გამგესთან პოდპორ. პ. ლეჟავასთან.

გადასახადი სულ 100 მანეთია, აქედან 50 მან. შეტანილი უნდა იქნეს ჩაწერისთანავე, 25 მან. 1 აგვისტოს და 25 მან. 20 აგვისტოს.

ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის ჯარებისშტაბის მორიგი გენერალი პოლკოვნიკი **კაკაბაძე**.

## ოფიციალური განყოფილება

## სავალდებულო დადგენილება

სამგზავრო და საბარგო ავტომობილების და მოტოციკლეტების მოსაწესრიგებლათ და რეგისტრაციის მოსახდენათ.

რადგან ყველა საქმეები და უწყებები, რომლებიც შეეხებოდა საავტომობილო ნაწილს, გადავიდა გზათა სამინისტროს განკარგულებაში, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოხდეს რეგისტრაცია თბილისში არსებულ ყველა ავტომობილების: მთავრობის, სამხედრო უწყების, საზოგადოებების, კავშირების, ეროვნულ და სხვა ორგანიზაციების და აგრეთვე ყველა კერძო პირთა ავტომობილების და მოტოციკლეტების.

ყველა უწყების ავტომობილებს, რეგისტრაციის შემდეგ ექნებათ საჭირო მოწმობები, შესაფერისი ნიშნები და წარწერები; რომლებიც გარკვეულათ უნდა ჩნდეს როგორც დღით ისე ღამით.

რეგისტრაციის ადგილი დანიშნულია უმთავრეს საავტომობილო სახელოსნოებში (პავლოვის ქუჩა № 10).

აღნიშნული რეგისტრაცია მოხდება შემდეგის რიგით:

ყველა ავტომობილების და მოტოციკლეტების რეგისტრაცია, რომლებიც ემსახურებიან მთავრობის, სამხედრო და საზოგადოებათა და[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]ულებათ და აგრეთვე ეროვნულ ან სხვა ორგანიზაციებს, დაიწყება 29 ივლისს დილის 9 საათიდან და გაგრძელდება 10 აგვისტომდის. აგვისტოს ათს დილის 9 საათიდან დაიწყება რეგისტრაცია ყველა კერძო და ბირჟის ავტომობილების და გაგრძელდება 20 აგვისტომდის.

ყველა ავტომობილები და მოტოციკლეტები, რომლებიც მსვლელობაშია, წარმოდგენილი უნდა იქნეს დანიშნულ დროს აღნიშნულ ადგილზე.

რაც შეეხება იმ ავტომობილებს და მოტოციკლეტებს, რომლებიც მსვლელობაში არ არიან ან და რემონტში იმყოფებიან, იმათ შესახებ მათი პატრონები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ცნობები ავტომობილის ფირმის, რაოდენობის, ვინაობა პატრონის და ადგილის, სადაც ავტომობილი იმყოფება. ასეთი მანქანების რეგისტრაცია მოხდება ადგილობრივ.

ის ავტომობილები და მოტოციკლეტები, რომლებიც არ გამოცხადდებიან სარეგისტრაციოთ, მთავრობის განკარგულებით დაჭერილი იქნებიან და მათი პატრონნი კი პასუხისგებაში მიცემულნი.

გზათა მინისტრის ამხანაგი მ ა ლ ა ნ ი ა.

## ამონაწერები

ტფილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანების წიგნიდან.

22 ივლისი, 1918 წ. № 86.

სურამის მეორე მომრიგებელი ნაწილის სამოსამართლო ბოქაული ხ მ ე დ ი ვ ი დათხოვნილია სამსახურიდან, ოთხი თვის განმავლობაში სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

სასამართლოს თავმჯდომარე პ ა ც ე ვ ი ჩ ი.

24 ივლისი 1918 წ. № 87.

ტფილისის საოლქო სასამართლოს მდივანი ტ კ ა ჩ ე ვ ი, დროებით გადაყვანილია ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის მეორე განყოფილების მდივნის თანამდებობაზე.

სასამართლოს თავმჯდომარე პ ა ც ე ვ ი ჩ ი.

## არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 28 ივლისი.

როგორც ვიცით, საქართველომ ამიერ-კავკასიის საერთო დემოკრატიული ფრონტი უკანასკნელმა დასტოვა. როცა [illegible] შეკვრულად ღალატობდა და არღვევდა ამიერ-კავკასიის მთლიანობას, საქართველოს დემოკრატიას ის ღა დარჩენოდა, რომ [illegible], საკუთარი ძალ-ღონით დაეცვა რევოლიუციის ინტერესები და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა.

მაგრამ იგივე საქართველოს დემოკრატია ყოველთვის მზად იქნება პირველმა გადასდგას ნაბიჯი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დასაახლოვებლად და საერთაშორისო პოლიტიკური კავშირის დასამყარებლად.

თუ საზოგადო საერთაშორისო ინტერესების შეთანხმება მოხდება მეზობელ სახელმწიფოთა და ერთა შორის, მოსალოდნელია მომავალში შეიქმნას ამიერ-კავკასიის თუ კავკასიის კონფედერაცია. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადერბეიჯანის და სომხეთის ხელმძღვანელები მართლა დაადგებიან შეთანხმების და სოლიდარობის გზას და ჩვენს საერთაშორისო ურთიერთობაში გულწრფელობას შემოიტანენ.

[illegible]ისოთ ყოველი დაკავშირება, თუნდაც კონფედერაციის სახით მხოლოდ გედის, კალმახის და კიბოს არაკს გაამართლებს. „ვერ ახერხებენ ვერც ერთი ერთი-მეორის შველასა და მძიმე ტვირთი მიჰქონდათ სხვა და სხვა მხრისკენ ყველასა“!

ჩვენ არ ვფიქრობთ ასეთი გულახდილი საერთაშორისო პოლიტიკის წარმოება ადვილი იქნეს იმ პარტიებისთვის, რომელთა ხელშია დღეს ადერბეიჯან-სომხეთის ბედ-იღბალი და რომელნიც შინ სასტიკად ებრძვიან და სტუქსავენ საკუთარ დემოკრატიას. ცხადია, საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში პირდაპირ თუ არა პირდაპირ მიმართული იქნება ამ დამონებული დემოკრატიის გამოსაფხიზლებლად და ასამაღლებლად. ამიერ-კავკასიის უბედურება პირ[illegible]ყოვლისა ამ დემოკრატიის განუვითა[illegible]ობის და უმეცრების ნაყოფია.

[illegible] გაკვრით კონფედერაცია მოვიხსენიეთ, ისიც უნდა დავუმატოთ, რომ იგი გულისხმობს საერთაშორისო ნებაყოფლობითი კავშირს სრულიად დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოებისას. მაშასადამე კონფედერალური კავშირის შესაქმნელათ საჭიროა მოკავშირე სახელმწიფონი. უკანასკნელნი კი აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში ჯერ კარგათ არც კი გამოსახულან და ჩამოყალიბებულან, რომ შესაძლებელი იყოს ახლავე რაიმე ხანგრძლივი და ძლიერი კონფედერაციის შექმნაზე ლაპარაკი.

საქართველოს ხალხს დღეს მხოლოდ და მარტოოდენ ერთი დიდი საზრუნავი აქვს, რომელიც შეიცავს და გულისხმობს ყოველგვარ სხვა საშინაო და საგარეო საკითხებს. ეს არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვა შინაურ და გარეშე მტრების თავდასხმისაგან; ეს არის ჩვენი სახელმწიფოებრივობის განმტკიცება, მისი თავისუფლების და დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დარღვევა ნიშნავს ქართველი ერის ფიზიკურ განადგურებას, რევოლიუციურ საქმის დაღუპვას და დემოკრატიის უსაშინელეს დამარცხებას. თუ საქართველოს დამოუკიდებლობის ფრონტზე წავაგეთ საქმე, მაშინ წავაგებთ და დავკარგავთ ყველაფერს, დავმარცხდებით ყველგან, რ ო გ ო რ ც ე რ ი დ ა რ ო გ ო რ ც დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა.

წესიერება და სიმტკიცე უნდა აღსდგეს მთელ საქართველოს ტერიტორიაზე. მთელი ძალ-ღონე, ყოველგვარი საშუალება დამოუკიდებლობის გამტკიცებისა და თავისუფლების უზრუნველყოფისათვის! მთელი ნება, მთელი გრძნობა-გონება, მთელი გულისყური საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გამარჯვებისაკენ!

Yae victis—ვაი დამარცხებულთ!

## პრესის მიმოხილვა.

ადგილობრივ რუს სოციალისტ-რევოლიუციონერთა ორგანო, „ტრუდოვოე ზნამია“ ჩვენს სამხედრო, საფინანსო და სასურსათო სამინისტროებში გერმანელ მრჩევლების მოწვევის შესახებ სწერს:

„დღეიდან ნორჩ საქართველოს სახელმწიფოებრივ მმართველობის ზღაპარი ძარღვები თავთავიანთ ფუნქციებს გერმანიის დიპლომატიის დახმარებით შეასრულებენ. ამით გერმანიის დიპლომატია საქართველოს სახელმწიფოებრივ მექანიზმის ცენტრში მოექცევა. მართლაც და რას ნიშნავს საპასუხისმგებლო სამინისტროებში—უცხო სახელმწიფოთა თუნდაც მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მონაწილეობა მრჩეველთა ბუნდოვან როლით? სად და მართლაც რომელ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ჰქონია ადგილი პოლიტიკურ ცხოვრების ამგვარ პრეცენდენტს?

მათ თუ რამე გაეგებათ ისტორიის და საერთაშორისო პოლიტიკის, უნდა იცოდნენ, რომ ასეთი მაგალითები ხშირია, როცა ძლიერი მფარველი სახელმწიფო ამა თუ იმ სახით დახმარებას უწევს თავის სუსტს მოკავშირეს. რა არის აქ იმდენათ გასაკვირალი და უცნაური თანამედროვე მდგომარეობაში, რომ „ტრუდოვოე ზნამიას“ თავი დაუკარგავს და შხამს ანთხევს ჩვენს წინააღმდეგ? ერთი გვიბრძანონ საქართველოს დამოუკიდებლობით ნაღველა გასიებულ რუსის „სოციალისტ-რევოლიუციონერებმა“ სხვა რომელ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ყოფილა, რომ დღიდან მის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ყველა უცხო ელემენტები სახელმწიფოს აშკარა მტრებად გადაქცეულიყვნენ? სხვა რომელ სახელმწიფოს განუცდია ასეთი საფინანსო და სასურსათო კრიზისი. მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თავის დემოკრატიული გულუხვობით თუ სტუმართმოყვარების გამო ყველას გულის მოგებას ცდილობდა. ხოლო „სტუმარნი“-კი მომშხამველ აგიტაციას ეწეოდნენ და შეთქმულებას ახდენდნენ მის დასასამარებლად?

„საქართველოს სამმართველო წრეები და ეროვნული საბჭო ასცდა საერთო დემოკრატიულ გზას. ამიტომ ჩვენ არ ძალგვიძს შიში არ გამოვსთქვათ, რომ ასეთი ზომები გააძლიერებენ იმპერიალისტურ ქვეყნის გავლენას“.

რაშია საქმე?

ის „სოციალისტ-რევოლიუციონერები“, რომლებიც არამც თუ დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, არამედ დღიდან ბოლშევიკურ რუსეთის ამიერ-კავკასიიდან ჩამოშორებისა, მხოლოდ სახელწოდებით განირჩევიან რუს-კადეტების და შავრაზმელებისაგან—დღეს ვითომც და მეტად ზრუნავენ საქართველოზე. ვინ ერწმუნოს ამას? ამდენი ხნის მათმა “მოღვაწეობამ“ ნათლად დაანახვა ქართველ ხალხს ღვარძლიანი გული ეგრეთწოდებულ „სოციალისტებისა“ და „რევოლიუციონერებისა“.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

მკათათვის 23 სხდომა

(გაგრძელება). *)

გ. ვ ე შ ა პ ე ლ ი გამოიყენეს ისიც, რომ მეთაური პარტია მუდამ უკიჟინებდა: რევოლიუციის საკითხი არის სოფლად თავად-აზნაურებთან ბრძოლის საკითხიო. ეს აზნაურებთან ბრძოლის იდეა საუკეთესოდ გამოიყენეს ოსებმა საჩხერეს მიდამოებში, თუნდაც ისეთ ალაგებში, სადაც აზნაურები ყოფილან ისტორიულად ჩასახლებულნი, იმიტომ, რომ ეს ალაგები იყო ჩვენი სტრატეგიული პუნქტები და ამ პუნქტებში ასახლებდენ მათ ვისაც შეეძლო საკუთარის შეძლებით ადგილების დაცვა სწორედ იმ ძალებისაგან, რომელიც დღეს ესევა ჩვენს მხარეს.

ოსთა მეთაურები სარგებლობენ იმითაც, რომ ჩვენ სოფლებში არავითარი ავტორიტეტი და ცოდნაც კი არ არის იმისა, რომ არსებობს დამოუკიდებელი საქართველო და დამოუკიდებელი მთავრობა.

პარტიული აგიტატორები გვერდს უხვევენ საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციის საკითხს მაშინ, როდესაც კლასთა ბრძოლის გაღრმავების საკითხს მუდმივ უხსნიდნენ.

ამ ბრძოლის იდეას განხორციელებას შეუდგნენ ბალშევიკები და სომხები, თავიანთ ეროვნულ მიზნების განსახორციელებლად, და იქამდის მიიყვანეს, რომ საჩხერეს და მის ახლომახლო მცხოვრები გლეხები, რომელთა უმრავლესობამ ხმა მისცა პირველ ნომერს,—ეხლა ოსების ჩაგონებით იმას ამბობენ, რომ ყველანაირი მთავრობა კარგი იქნება. როგორიც უნდა იყოს ჩვენი მთავრობა: რუსეთის, გერმანეთის, თუნდაც ოსეთის მხოლოდ ქართული მთავრობა ნუ იქნებაო.

ყველა ამით ისარგებლეს ოსებმა და ეკონომიურ, თუ პოლიტიკურ მოსაზრებებით პირდაპირ მოახდინეს აჯანყება. თუ კიდევ ჰქონდათ მათ რაიმე მოკრძალება ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თბილისში არსებობს ისეთი ძალა რომელიც მათ გაუმკლავდება. რომ ისე ნელა არ დაეწყოთ მოქმედება, როგორც დაიწყეს, ქუთაის თუ არ ჩავიდოდნენ, როგორც განზრახვა ჰქონდათ, ჰიათურას მაინც ჩავიდოდნენ, გაანადგურებდნენ სამრეწველო ქარხნებს და შემდეგ რა შედეგიც მოჰყვებოდა ამას თქვენ თითონ გაითვალისწინებთ.

თქვენ იცით, რომ აჯანყებულები დაამარცხა იმ რეგულიარულ ჯარმა, რომელიც არის მთავრობის განკარგულებაში. ოსთა მოძრაობა საჩხერეს მხარეში დამარცხებულია დროებით.

საჩხერეში მოქმედ ჯარმა ორი მიზანი დაისახა სახელმძღვანელოდ.

1) განთავისუფლება საჩხერეს მხრივ ქართულ-იმერულ სოფლებისა, დამორჩილება და განდევნა ოსებისა. ეს საქმე მთავრობის რეგულიარულმა ჯარმა შეასრულა. ეხლა მთავრობის ჯარის პოზიცია არის გამაგრებული სოფ. ჰალასთან. ამით ჩაკეტილია ჰალის ხეობა; ასე რომ ოსებს საშუალება არ ექნებათ წამოვიდნენ ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ როდემდის უნდა იდგეს მთავრობის ჯარი ამ პოზიციაზე? აუცილებლივ საჭიროა ისეთ ზომების მიღება, რომ ცენტრმა ამ მოძრაობისამ, რომლიდანაც სხვა და სხვა მიმართულებით სხვა და სხვა კუთხეებისკენ მიდიან აჯანყებულები, შესწყვიტოს თავისი ასეთი მოქმედება. ეს მხარე უნდა დაწყნარდეს, იცნოს საქართველოს მთავრობა. მთავრობას უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ ერთი კვირის შემდეგ კვლავ არ განმეორდება ეს ამბავი საჩხერეს მხარეში თუ არა მეორე მსგავს მხარეში ასეთი დასავლეთის ფრონტის სახის ბრძოლა ე. ი. ბრძოლა განადგურებისათვის.

მეორე მხრივ, რადგან იმ მოძრაობამ აუარებელი ზარალი მიაყენა ქართველთა ყველა წოდებას, მთავრობამ უნდა იზრუნოს დაზარალებულთა დასახმარებლად.

ერთი საერთო სახელმწიფოებრივ წესით, რომელიც შეეხება ლტოლვილთა და გადმოხვეწილთა საკითხს.

ალბად მთავრობა მიიღებს ზომებს, რომ ისინი დაკმაყოფილებულ იყვნენ.

მეორე მხრივ: მთელი ის ქონება, რომელიც გაიტაცეს და რომელიც 1 მილიონ მანეთს უდრის—ეს გატაცებულია ჰალის ხეობაში. მთავრობამ უნდა ზომები მიიღოს რომ ეს ქონება იქიდან დაბრუნდეს. როგორის წესით?—ეს მთავრობის საქმეა.

აი ამ ორ საკითხის გარშემო ისეთი მდგომარეობაა დამყარებული, რომ ერთ მხრივ მალე უნდა გადასწყდეს საკითხი ოსთა საზღვარ ტერიტორიის შესახებ. და მეორე მხრივ,—საკითხი დაზარალებულთა.

მე მოვითხოვ, რომ მთავრობის წარმომადგენელმა თვისი ავტორიტეტული აზრი გამოსთქვას ამის შესახებ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ნებავს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს.

ნ ო ე ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ეს შეკითხვა ჩვენ გავიგეთ დღეს, სულ ერთი საათის წინ. მთავრობის დანარჩენ წევრებმა ამ სტოლზე გაიგეს ასეთ საკითხის, ამ სერიოზულ საკითხის შესახებ ჩვენს სამინისტროში ამ ერთ საათის განმავლობაში არ შეგვეძლო მოგვეტანა ეს მასალები. ამ ერთ საათის განმავლობაში კამათი არც გაწყვეტილა. ეხლა კამათი იქნება გადადებული. იქ შევეცდებით საკითხის განათებას.

ის კი უნდა ვთქვა, რომ ისინი, ვისაც შეკითხვა შემოაქვთ, თუ მართლა დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ საკითხს, უნდა ეცადნენ, რომ შეკითხვა 24 საათით ადრე შემოიტანონ კრების დაწყებამდის, რომ მთავრობას შეეძლოს კოლლექტიურ აზრის წარმოდგენა თქვენ კი წუხელ მოგიფიქრიათ, დილას შემოგიტანიათ და ახლავე მოითხოვთ პასუხს: აბა ახლავე პასუხიო. ასეთი მოთხოვნილების წამოყენება ყოვლად მიუღებელია ასეთ სერიოზულ კითხვის განხილვის დროს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. თქვენ რის შესახებ გსურთ სიტყვა?

გ. ვ ე შ ა პ ე ლ ი. აი ამ განმარტების შესახებ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. დაბრძანდით! 63 მუხლი ჩვენი რეგლამენტისა ამბობს: „საბჭოს წევრმა მთავრობის მიმართ შეკითხვა უნდა შეიტანოს სხდომის დაწყებამდის. ასე, რომ აქ საათი არ არის განსაზღვრული, თუ როდის უნდა შეიტანოს საბჭოს წევრმა შეკითხვა და რამდენი ხანი უნდა გავიდეს. საბჭოს წევრს აქვს უფლება წარმოადგინოს შეკითხვა, როცა კი უნდა, ვიდრე სხდომა დაიწყება.

მეორე მუხლში სწერია: მთავრობა შეკითხვაზე პასუხს იძლევა, ან დაუყოვნებლივე ან უახლოეს სხდომაზე, არა უგვიანეს ერთი კვირისა. ჩვენი რეგლამენტი სრულ საშუალებას აძლევს მთავრობას პასუხი გასცეს მაშინ, როცა მას აქვს. წინადადება უნდა მისცეს თავმჯდომარეს, რომ მას ეხლა შეუძლიან პასუხის გაცემა. რაც შეეხება 63 მუხლს, რომ შეკითხვა უნდა შემოტანილი იყოს მანამდის, სანამ სხდომა დაიწყებაო—იყო ერთი შემთხვევა. შეკითხვა შემოიტანეს მაშინ, როდესაც დაწყებული იყო კრება. ეს ეწინააღმდეგება ჩვენს რეგლამენტს. აი ასეთი შეკითხვის შემოტანა გუშინვე შეიძლებოდა. ამას დღესვე გასცემდა პასუხს მთავრობა.

დღეს კი რეგლამენტი დარღვეული არ არის არც საბჭოს წევრის მიერ და არც მთავრობის თავმჯდომრის მიერ. მათ პასუხს გასცემს მაშინ, როდესაც საჭირო იქნება. მთავრობის თხოვნა გამომდინარეობს რეგლამენტიდან.

ამ რიგად ჩვენ დაგვრჩა ერთი საკითხი. ამ საკითხს ჩვენ შევეხებით მხოლოდ დახურულ კრებაზე.

*) იხილე „საქართველოს რესპუბლიკა“ № 2.

## მიწის საკითხის გამო.

III.

კითხვა, თუ როგორ, რა ფორმით მოხდეს მიწის საკუთრებათ გადაცემა სოფლის მუშებზე, ფასით, თუ უფასოთ, აზრთა სხვა და სხვაობას იწვევს. ერთნი ფიქრობენ, რომ სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობის გამოსასწორებლათ საჭიროა ფასით გადაცემა, ხოლო მეორენი უფასოთ გადაცემას მოითხოვენ. *)

პირველნი შემდეგი მოსაზრებით ასაბუთებენ თავის აზრს: ჩვენი სახელმწიფოს ფინანსიური მდგმარეობა დიდ კრიზისს განიცდის; მის გამოსასწორებლათ აუცილებლივ საჭროა მიღებულ იქმნას შესაფერი საშუალებანი; ერთი ასეთი საშუალებათაგანია მიწის გადაცემა ფასით. სოფლის მუშის დიდი მისწრაფება მიწის საკუთრებათ შეძენისაკენ ისეთი ძლიერია, რომ ის ფარულათ და შინაურულათ ყიდულობს მიწას, მიუხედავათ იმისა, რომ მან კარგათ იცის, რომ კანონით ეს აკრძალულია. სოფლის მუშები მით უმეტეს დიდი სიამოვნებით შეისყიდიან მიწებს, თუ მათ კანონი ამის ნებას დართავს. ამნაირათ ხაზინაში დიდ-ძალი ფული მოიყრის თავს, რაც ფინანსიურ შერ-

*) რედ. თავის აზრს გამოსთქვამს ამის შესახებ.

ყეულ მდგომარეობას ცოტათი გამოასწორებს და სახელმწიფოსაც გადაარჩენს განსაცდელიდა საგან გარდა ამისა სოფლის მუშა მიწას უფრო მაგრათ ჩასჭიდებს ხელს მაშინ, როდესაც ის მას შეისყიდის; მესაკუთრე სოფლის მუშა არსებულ მდგომარეობას გაამაგრებს და შესყიდული მიწისათვის უფრო თავ-გამოდებით იბრძოლებს.

ამ შეხედულების მიღება საძნელოა: პირველი შეხედვით ის მიწის გამოსყიდვას ფინანსიური მდგომარეობის გამოსასწორებლათ და სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის მოითხოვს, მაგრამ დიდი კითხვაა და ძალიან საბედისწერო კითხვაცაა: ამ გზით და ამ საშუალებით მივახწევთ თუ არა დასახულს მიზანს.

ვფიქრობ ამ გზით ჩვენ ცეცხლზე ნავთს დავასხავთ, ისეთაც მდიდარ ნიადაგს პროვოკაცია-ანარქიისათვის უფრო გავანოყიერებთ და კეთილ-დღეობის ნაცვლათ დაღუპვის კარს მივადგებით.

1905 წლიდანვე ჩვენ სოფლის მუშებს ვპირდებოდით მიწას; ვპირდებოდით უფასოთ და არა ფასით, რადგანაც უხსნიდით ჩვენ, რომ სოფლის მუშამ თავისი შრომით და უზომო ღალისხდით ათასჯერ გამოისყიდა მიწა. ამტომაც იყო, რომ სოფლის მუშები ჩვენ ისე ნდობით გვეპყრობოდნენ.

მიწის უფასოთ ჩამორთმევა და უფასოთვე გადაცემა,—ეს აზრი ისე შეუსისხლხორცდა მათ, რომ ახლა სხვაფრივ აზროვნობა მათ არ შეუძლიათ. სოფლის მუშა ვერ წარმოიდგენს და სამართლიანათ ვერ მიიჩნევს უფასოთ ჩამორთმეულ მიწების მათზე ფასით გაყიდვას.

გარდა ამისა, გლეხი პირველ ყოვლისა მიწის მუშაა, რომელიც მთელი თავისი არსებით მიწაზეა მიჯაჭვული და თავი მაღლა ვერ აუღია. მთელი მისი აზროვნობა და ფსიქოლოგია ვიწრო ფარგლებში მხოლოდ ამ მიწის გარშემო ტრიალებს. მაღლა თუ იხედება ის მხოლოდ იმავ მიწისათვის და მისი მოსავლისათვის. ისე გარკვევით და ნათლათ არ ესმის მას ის, რაც საჭიროა საზოგადოებრივ—სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის.

მიწების ფასით გადაცემა პროვოკატორებს ფრთებს შეასხამს და უფრო გაალვივებინებს საწინააღმდეგო აგიტაციას; სოფლის ხალხი, რომელიც სათანადოთ ვერ ერკვევა ცვალებად პირობებში, ამით უფრო დაიბნევა, აირევა და პროვოკაციის მსხვერპლი შეიქნება.

აუცილებლათ საჭიროა პირველ ყოვლისა უმიწა-წყლო და შემდეგ მცირე მიწების მქონე ხალხზე უფასოთ გადაცემა მიწებისა; მხოლოდ მიწების ჩამორთმევით და ამ გადაცემით გამოწვეული ხარჯების გადახდა კი თამამად და თავისუფლათ შეუძლია სოფლის მუშას. ამას ის სამართლიანათაც მიიჩნევს და პროვოკატორე[illegible]ც ვერას გახდებიან.

რაც შეეხება სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობის გამოსწორებას, ამისათვის შესაფერი სახელმწიფოებრივი ზომები სწრაფათ უნდა იქმნას მიღებული. დღემდე გადასახადებს არავინ იხდის; ამას მრავალი საპატიო მიზეზები ჰქონდა დღევანდლამდე; მხოლოდ ასეთი მდგომარეობის გახანგრძლივება მეტათ სახიფათოა სახელმწიფოებრივი არსებობისათვის.

სასწრაფოთ გამომუშავებულ უნდა იქმნას გადასახადების მთელი სისტემა, მიწების დანაწილება-გადაცემასთან ერთად უნდა აიკრიბოს გადასახადებიც.

სოფლის მუშა, რომელიც მიწით დაკმაყოფილებული იქნება, ასეთ პირობებში თავისუფლათ გადიხდის ყოველგვარ გადასახადს და თავის ყოველგვარ მოქალაქობრივ მოვალეობასაც პირნათლათ შეასრულებს.

ამნაირათ მიწის საკითხის სოფლის მუშათა სასარგებლოთ და საკეთილდღეოთ გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ფინანსიური საქმის გამოსწორებასაც და არსებული სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების გამაგრებასაც.

ი. ი.

## ფარული საზოგადოება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოში შესდგა ორგანიზაცია, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს რესპუბლიკასთან ბრძოლა და მისი დანგრევა. ხსენებული ორგანიზაცია სხვა და სხვა საზოგადოებრივთ ჯგუფთა წარმომადგენელებისაგან შესდგება. შედიან „ბოლშევიკები", რუსის ზოგიერთი მოხელეები, რუსთ ოფიცრობის ნაწილი და აგრეთვე ზოგიერთ ნაციონალისტური წრეები. მას მიზნად აქვს დასახული სახემწიფოს სხვა და სხვა დაწესებულებების განადგურება და აფეთქება, ტერორისტული აქტების მოხდენა და დასასრულ, მთელს რუსეთში და საქართველოში, როგორც რუსეთის ყოფილ ნაწილში მონარქიულ წესწყობილების აღდგენას.

სხვათა შორის ამ ორგანიზაციაში შედის ჯგუფი, რომელიც სპეკულიაციის საშუალებით ძირს უთხრის რესპუბლიკის კეთილდღეობას. აღმოჩენილია ასაფეთქებელ მასალის საწყობი. დატყვევებული არიან ბ.ბ. რუბენაუ, ჯუნკოვსკი, დურნოვო და სხვანი. ორგანიზაციასთან ბრძოლა გრძელდება.

## ბამბის სიმშილი

ბევრმა მკითხველმა არც კი იცის, თუ სხვა სიმშილთან ერთად, მას მოელის აგრეთვე ეგრედ წოდებული ბამბის სიმშილიც. ჰიგროსკოპიული, ანუ სამკურნალო ბამბა მეტად საჭიროა განსაკუთრებით დღეს, როცა ათასნაირი გადამდები სენი მძვინვარებს. აი სწორედ ამ დროს ეს ბამბა უკვე თითქმის შემოგვრჩა. ერთად-ერთი ბამბის ქარხანა კავკასიაში არსებობს თბილისში და ეკუთვნის ძმ. ზლატოგორსკებს. ესევე ქარხანა ამუშავებდა ჰიგროსკოპიულ ბამბის გარდა, აგრეთვე შალის და ქაღალდის ბამბას, აგრეთვე ამზადებს ხელოვნურ შალსაც. ეს ქარხანა აწოდებდა სამკურნალო ბამბას ჩვენში ყველა საავადმყოფოებს, სამკურნალოებს და მედიკურ-სანიტარულ დაწესებულებას. მაგრამ ახლა ამ ქარხანას აღარ მოეპოვება სამკურნალო ბამბის დამზადებელი საჭირო მასალა, როგორც მაგალითად, კაუსტიკური სოდა, ქლორის კირი, გოგირდის სიმჟავე და სხვ. და ამიტომ იგი გაჩერებულია. ბამბის მოთხოვნილება კი დღითი-დღე იზრდება, ხოლო დასაკმაყოფილებელი საშუალება კი არსად არის. საჭიროა კერძო თაოსნობამ თავი იჩინოს ამ საქმეშიაც, განაცხოველოს მუშაობა, აქა-იქ გამოსძებნოს საჭირო მასალა. ჩვენ დარწმუნებული ვართ მთავრობის სათანადო დაწესებულებანიც ყოველსავე დახმარებას აღმოუჩენენ ამ საქმეში მრეწველებს, რადგანაც ესეც სახელმწიფოებრივ საქმიანობის ერთ-ერთ საჭირო დარგს შეადგენს. დაყოვნება ამ საქმეში დიდ ზარალს მოგვიტანს. ძალიან საჭიროა ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიაპყრან აგრეთვე ჩვენებურმა მედიკურ-სანიტარულმა ორგანიზაციებმა.

გრ. დ—ძე.

## ლტოლვილთა შესახებ.

ბაკურიანიდან ჩამოვიდენ ლტოლვილთა ინტერნაციონალურ კომიტეტის თავმჯდომარე ექიმი დ. ჟორდანია და კომიტეტის წევრი მღ. ე. ჯობავა. მათი ჩამოსვლის მიზანია მოახსენონ მთავრობას ლტოლვილთა საქმის მდგომარეობა და გამოარკვიონ ზოგიერთი საყურადღებო საკითხი ლტოლვილთა კომიტეტების მოღვაწეობის შესახებ.

ლტოლვილთა მდგომარეობა ჩამოსულების განცხადებით საშინელია. მძვინვარებს წარმოუდგენელი სიმშილი და მრავალი გადამდები ავადმყოფობა. სხვათა შორის ლტოლვილთ და ადგილობრივ მცხოვრებლებს მუსრს ავლებს სახადი—ტიფი სამივე სახისა. საავადმყოფო ვეღარ იტევს ტიფიანებს და კერძო ოჯახებში ათავსებენ მათ. ავად გახდა ტიფით ექიმები იოსელიანი და ამირაჯიბი. ბაკურიანის რაიონში ყოველ დღე კვდებიან 10-15 კაცამდე. უფრო იხოცებიან ბავშვები და მოხუცნი. ქართველებში უფრო ილუპებიან მესხნი.

საჭიროა დაუყონებლივ ზომების მიღება, თუ ის არ გვინდა, რომ ლტოლვილები არ დაიღუპონ და შემდეგ საშინელი უბედურება მოედვას მთელ საქართველოს. საჭიროა ძლიერი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ორგანო ლტოლვილთა საქმის მოსაგვარებლად. კომიტეტები თანხმობით არ მოქმედებენ. ბრალი ედებათ სომხის ნაციონალისტებს, საჭიროა ამასაც მიექცეს ყურადღება.

## დეპეშები.

### ომი.

(კავკასიის დეპეშათა სააგენტო)

27 ივლისი.

ბერლინი, 26 ივლისი. სამხედრო ცნობა, დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი, მდ. (?) სამხრეთით ალბერთან ჩვენ მოვიგერიეთ ინგლისელების შემოტევა და წამოვიყვანეთ 70 ტყვე. ფრონტის ბევრ ადგილებზე ჩვენი მზვერავი რაზმები იმარჯვებენ.

გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი. ბრძოლის ველზე მდ. ენის და მარნას შუა ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ძლიერი იერიშები. მდ. ურკის ორივე მხარეზე ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. აქედან ჩვენ განვდევნეთ მტერი ურში-ლუ-შატოს ჩრდილოეთით ორედის აღმოსავლეთით და ურკის დასავლეთით ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ძლიერი იერიში. მტერი მოგერიებულ იქნა აგრეთვე ვილსელის (მარნასთან) სამხრეთ დასავლეთით ძლიერი ბრძოლის შემდეგ. მდ. რეიმსის სამხრეთით ჩვენ გავწმინდეთ ფრონის დასავლეთით მდებარე ტყიანი ადგილი და მოვიგერიეთ ფრანგების თეთრი და შავი ჯარები. შამპანშიაც მოვიგერიეთ მტრის იერიშები. გუშინ ჰაერში ბრძოლის დროს მტერმა დაკარგა 28 ჰაეროპლანი და ერთი ჰაეროსტატი. ლეიტენანტებმა, ფრეიგერ ფონ-ვინტერფელდმა, რიხტჰოფენმა, ლოვენჰარდმა ბოლლიკმა, ბოლლემ და ტომმა ჰაერში ბრძოლის დროს გაიმარჯვებს.

ვენა, 26 ივლისი. სამხედრო ცნობა. იტალია. კონოვასთან ზუპენგემენდში მტერი დამარცხდა. სხვა ფრონტებზე მნიშვნელოვანი არაფერია. ალბანიაში კურის და ზღვის შუა ჩვენ გავიმარჯვეთ.

სტამბოლი, 26 ივლისი. პალესტინის ფრონტი. მიუხედავათ იმისა, რომ მტრის ძლიერმა იერიშებმა შესაფერი პასუხი მიიღეს ჩვენგან, მათ მაინც წუხელის მდ. იორდანესთან არაჩვეულებრი სიმარჯვე გამოიჩინა.

მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ ზოგ ადგილას არის საარტილერიო ცეცხლის და მზვერავთა მოქმედება.

ბერლინი, 26 ივლისი. საღამოს ცნობა. ფრონტებზე ახალი არაფერია.

პარიზი. 26 ივლისი. სამხედრო ცნობა. მდ. ურკის სამხრეთით ორივ მხრიდან მთელი დღის განმავლობაში საარტილერიო ბრძოლა იყო. ქვეითი ჯარი მონაწილეობას არ ღებულობდა. მდ. მარნას ჩრდილოეთ ნაპირზე ფრანგებმა ველი და ფერმა სავარდი აიღეს. 25 ივლისს ფრანგებმა ქ. მონტუარიდან და დულკი-ლე-შატოს მიდამოებიდან 700-დე ტყვე წამოიყვანეს. შამპანის ფრონტზე 15—16 ივლისს და აგრეთვე შემდეგაც დიდი იერიშები აწარმოეს. მიუხედავათ იმისა, რომ მტერი დიდ წინააღმდეგობას უწევდა, ფრანგებმა 1500 მეტრით წინ წაიწიეს: ფრანგებმა ხელახლად აიღეს მენ-დე—მასსიზი. ამ ომის დროს, ხელთ იგდეს 1100 ტყვე, 200 ტყვიის მფრქვეველი და 7 ზარბაზანი.

მოსკოვი, 26 ივლისი. ბაქოს მიმართულებით 20 ივლ. ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ქალაქი შემახა.

27 ივლისი, 1918 წ. თბილისი.

### უცხოეთი.

ნიკოლოზ II პანაშვიდი. ივლისის, 25. რუსეთის საელჩომ პარიზში განკარგულება მოახდინა პანაშვიდი გადაიხადონ პარიზის რუსულ ეკლესიაში რუსეთის ყოფილ მეფის ნიკოლოზ მეორის სულის მოსახსენებლად.

კიევი, თიბათვის 9. ეკატერინბურგ-ჩელიაბინსკის ხაზზე და შჩადრისკთან ბოლშევიკებს სასტიკი ომი აქვთ ჩეხებსა და სლოვაკებთან. ჩეხო-სლოვაკები თავიანთ პოზიციებს ყველგან ინარჩუნებენ. მთელს ფრონტზე 50 ათასამდე ბოლშევიკი მოქმედებს. მათში არიან წითელგვარდიელნი, ფილნანდელნი და ლატიშნი. მთავარსარდალი მურავიოვი, მემარცხენე ესერი, თვის ჯარებს მოსკოვისკენ გზავნის. ჩიჩერინი იუწყება თვით მურავიოვმა თავი მოიკლაო.

### ჩინეთი.

პეკინიდან მიღებულ ცნობების თანახმად ჩინეთის ციმბირში გამოსვლა უკვე გადასწყდა. მთავრობამ გადასწყვიტა ჯერჯერობით 20 ათას ჯარის კაცის გაგზავნა. ნაწილი ჯარისა ვლადივოსტოკში მისვლა.

### ფრანგები და სერბიელები არხანგელსკში.

თიბათვის 28 ფრანგებს არხანგელსკში 10 ათასი ფრანგი და სერბიელი გადაუსხამთ.

## ახალი ამბები.

✦ მომარაგების კომიტეტთან (კომიტეტ სნაბჟენია) არსებულმა მედიკურ-სანიტარულმა საბჭომ დაადგინა კომიტეტის მედიცინური ქონება, რომელსაც შეადგენს არა მარტო მედიკამენტები, ე. ი. წამლები და სამკურნალო იარაღი, არამედ ყოველი ავეჯეულობა, რომელიც საჭიროა საავადმყოფოების მოსაწყობად, არამცა და არამც არ გაიყიდოს კერძო ხელში, თუნდ კოოპერატივებზე, რადგანაც ზემო ჩამოთვლილი ქონება ამ ჟამად ძნელი საშოვარი და საჭიროა მედიკურ-სანიტარულ დაწესებულებისათვის. ეს ქონება უნდა იყოს თავმოყრილი ერთ ალაგას.

✦ მომარაგების კომიტეტის მედიკურ-სანიტარულმა საბჭომ შეიწყნარა დიდი-ჯიხაიშის საავადმყოფოს შუამდგომლობა წამლების დათმობის შესახებ.

✦ მომარაგების კომიტეტის მედიკურ-სანიტარულმა საბჭომ გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რომ კიდევ 80.000 მანეთი გადაიდოს ფსიქიატრულ ახალშენის შენობის დასამთავრებლად.

✦ კოჯორის ფოსტა-ტელეგრაფი. ამა წლის ივლისის, 12 კოჯორის დროებითი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებამ მოქმედება დაიწყო.

✦ დუშეთის ამბების გამო. დღეს მიემგზავრება დუშეთს საგანგებო კომისია პ. მ. კახიანის მეთაურობით მუშაობა ერთ თვემდე გასტანს. სამუშაოს გასაადვილებლად კახიანი სთხოვს ყველას ვისაც აქვს რამე ცნობები მიმართოს დუშეთის მომრიგებელ მოსამართლის კამერაში.

✦ ქურდობა. 26 ივლის, ამაღლების ქუჩაზე მირიმანოვის ბინაზე შეიჭრა 4 შეიარაღებული უცნობი და მუქარით წაართვეს 2900 მ. 26 ივლისს უცნობ პირებმა მიხეილის პროსპექტზე გაქურდეს პოდპოლკოვნიკ ალექსეევის ბინა და 11850 მან. ღირებული ნივთეულობა წაიღეს.

✦ გალობის საქმე. დღეს ნაშუადღევის 1 საათზე საქათალიკოსო საბჭოს ბინაზე მიტროპოლიტ ლეონიდის თავმჯდომარეობით დანიშნულია კრება ქართულ საეკლესიო გალობის შესაფერ დონეზე დასაყენებლად. კრებაზე ყველა ქართველი კომპოზიტორი, მემუსიკენი და ლოტბარები არიან მოწვეულნი.

✦ საქართველოს რესპუბლიკასთან მყოფ სომეხთა დიპლომატიურ მისიას ატყობინებენ, რომ სომეხთა ეროვნულ საბჭოს წევრნი უკვე ჩავიდნენ ერევანში 19 ივლისს.

✦ ალექსანდროპოლიდან მოვიდა საგანგებო მატარებელი იმ ლტოლვილებით, რომელთაც არ მოისურვეს იქ დარჩენა. ამ დღეებში კიდევ მოელიან ამნაირ მატარებელს.

✦ სროლა. 26 ივლისს ღამის 1 საათზე სახელმწიფო ბანკთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ვიღაც უცნობებმა სროლა ასტეხეს. სროლითვე პასუხი გასცა ბანკის დარაჯთა რაზმმა. დაპატიმრებულია 1 გარედან მსროლელთაგანი.

✦ სწავლის დაწყება. საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასწავლებელში სწავლა დაიწყება 19 ენკენისთვეს და გასტანს 20 თიბათვემდე 1919 წლისა.

✦ უკრაინელთა სავაჭრო ამხანაგობა. 26 ივლისს უკრაინის რადაში შესდგა კრება უკრაინელთა სავაჭრო ამხანაგობისა დადგენილ იქმნა დაარსდეს უკრაინელთა „სპილკა" (კავშირი) ვაჭარ-მრეწველთაგან. პირველ ყოვლისა ამხანაგობა დაიწყებს ვაჭრობას პურით. შაქრით და სხვა სანოვაგით. ამ დღეებში ამხანაგობის წევრნი მიემგზავრებიან უკრაინაში საქონლის შესაძენათ.

✦ გაქურდვა მინისტრის ამხანაგის ბინისა. 25 ივლისს, დღისით, უცნობი პირნი შეპარულან გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგის გვარჯალაძის ბინაზე. წაუღია ძვირფასი ნივთეულობა 15 ათას მანეთად ღირებული.

✦ ქალაქის საბჭოს სხდომაზე, რომელიც ხვალ, 29 ივლისსაა დანიშნული. განხილულ იქნება საკითხი საქართველოს ქვეშევრდომობისა და მილიციის რეორგანიზაციის შესახებ.

✦ კერძო გიმნაზია. ნ. გ. თევზაძის კერძო გიმნაზია გადატანილია ახალ სადგომში მუდმივ ბინების მომგვარებელ ამხანაგობის სახლში, ქსენიას ქუჩა № 11. ახალი ბინა. პედაგოგიურ ჰიგიენურად დამაკმაყოფილებელია.

✦ საჩხერეს ამბები. რაზმის უფროსი იშხნელი დეპეშით აუწყებს სამხედრო მინისტრს: დღეს მკათათვის 25-ს ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ. 3 საათის ბრძოლით ჩემმა რაზმის ნაწილებმა დაიპყრეს სოფელი მერევი.

✦ სუმბათაშვილის დეპეშა. სუმბათაშვილი დეპეშით ატყობინებს სამხედრო მინისტრს: ოსეთის სამხედრო გზაზე ჩვენ დავიპყარით ნამოხვანი, ვისათი. ნასოფლის სერი და ყანარის სერი, მოგვიკლეს 1 ჯარის-კაცი დაგვიჭრეს 3. ბაღდადის უბანში ბოლშევიკები სასტიკად დამარცხდენ. მეთაურნი შევიპყარით. ტყვეობიდან გამოვიხსენით ჩვენი 3 ოფიცერი და 2 ჯარის-კაცი. წავართვით 300 თოფი და 8000 პატრონა. უხუტიდან წავიყვანეთ 140 ახალგაზრდა ჯარის-კაცი.

✦ ხოლერა. ქალაქის საავადმყოფოში ამ უკანასკნელ დღეებში ქალაქის სხვადასხვა ნაწილებიდან მოიყვანეს ხოლერით ავადმყოფი 8 კაცი და 7 ხოლერის ნიშნებით. სულ წინად მოყვანილებიდან გარდაიცვალა 9. მაისის 18 მკათათვის 26-ს ხოლერით ავადმყოფთა რიცხვი 166 აღემატება.

✦ ლტოლვილების გადაყვანა. ქალაქიდან ლტოლვილების გადაყვანას უკვე შეუდგნენ. ლტოლვილები გაჰყავთ ნავთლუღიდან მე-300-ზე ვერსზე. უკვე გაყვანილია 1500 ლტოლვილი.

ხელოვნების კომისია.

ეროვნულ საბჭოს ხელოვნების კომისიაში ამ ჟამად თათბირია ხელოვნების საქმეთა გამგებლობის მოწყობის შესახებ. არის ორი მიმდინარეობა: ერთი მოითხოვს ცალკე გამგებლობის დაარსებას ხელოვნების სხვა და სხვა დარგთა სისტემატიზაციისათვის, რომელიც მხოლოდ ეროვნულ საბჭოს წინაშე იქნება პასუხის მგებელი, მეორე კი მოითხოვს, რომ დაარსდეს ხელოვნების დირექცია განათლების სამინისტროსთან და ამ აზრს ასაბუთებენ იმითი, რომ ცალკე გამგებლობა დიდ ხარჯს გამოიწვევსო. ამის შესახებ კომისიის უკანასკნელი სხდომა ხვალ, ორშაბათს ივლისის 29-ს არის დანიშნული საკითხის საბოლოო გადასაწყვეტად. კარგი იქნება მცოდნე და დაინტერესებულმა პირებმა თავიანთი აზრი გამოსთქვან.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

უსაქმო ხალხი.

ვინ გინდა არ შეფარებია თბილისის მიდამოებს: ყველა ბიუროკრატი, რომელსაც რევოლიუცია სდევნიდა, ყოფილი ჟანდარმთა კორპუსის მოხელე, ძველი ჩინოვნიკი, გარუსებას რომ ემსახურებოდა, მოყიალე აფიცერი, რომელსაც თავის მოვალეობა დაუვიწყებია და სხვის დანგრევაზე კი ჰფიქრობს.

რას აკეთებს ეს ხალხი აქ?

მთელი თავის ენერგია მათ ჩვენი ქვეყნის დანგრევისაკენ აქვთ მიპყრობილი. ისინი ეწევიან აქ მომშხამველ აგიტაციას ბნელ მასაში, [illegible]თი ბოროტი ენა ჩასწვდა მუშათა წრეებსაც, [illegible]აც დღემდე სოლიდარობის საუკეთესო მა[illegible]თი არსებობდა და იქაც გათიშვის და გახრწნილების ნიშნები შეიტანა, ეს ხალხი აწყობს შეთქმულებას და ბოროტმოქმედებებს ჩვენი თავისუფლების წინააღმდეგ.

(„ერთობა").

ნაციონალიზაცია რკინის გზაზე.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსეთის უდღეურმა დამფუძნებელმა კრებამ მოასწრო და აღიარა რუსეთი ფედერატიულ რესპუბლიკად, ყოფილ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს ქართველ მოსამსახურეთა პირველმა კრებამ ერთხმად აღიარა რკინის გზის ნაციონალიზაციის აუცილებლობა. მაშინ ამ მოთხოვნის წამოყენებას უკავშირებდნენ იმ გარემოებას, რომ ამიერ-კავკასიის ერთა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჩამოყალიბება შესაძლებელი იქნებოდა ფედერაციისა ანუ კონფედერაციის ნიადაგზე. შემდეგმა ცვლილებამ ამიერ-კავკასიის ერთა პოლიტიკურ მდგომარეობაში შორს დასტოვა როგორც ერთი, ისე მეორე მოთხოვნაც და შესაძლებელი გახდა სამ უმთავრეს ერთაგან სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსება. კერძოდ საქართველოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის საერთო სიგრძიდან, რომელიც უდრის 1750 ვერსს, წილად ხვდა 730 ვერსი, რაც შეადგენს მთელი ამიერ-კავკასიის რკინის გზის სიგრძის დაახლოვებით 42 პროცენტს. საქართველო დამოუკიდებლივ უდგება რკინის გზის საქმის მართვაგამგეობას. ეს გარემოება პირდაპირ მაჩვენებელია იმისა, რომ ნაციონალიზაცია უნდა მოხდეს, ვინაიდან [illegible]ეთესი პირობები ამ ზომის გატარებისათვის საქართველოს არ დაუდგება. ყველანი პრინციპიალურად მომხრენი არიან ნაციონალიზაციისა, მაგრამ ვერ მოგვიხერხებია შევქმნათ პრაქტიკული ნიადაგი საქმის დასაწყებად და მოსაგვარებლად.

(„სახ. საქ")

# შტატები

[illegible]ართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველობის და მისი 1918 წლის საუწყებო ხარჯთ-აღრიცხვა.

| თანამდებობანი. | ჯამაგირები. რიცხვი | თვიური თითოს | თვიური ყველას | წლიური თითოს | წლიური ყველას | ივნისის 1-დან წლის დამლევამდე |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქმეთა მმართველი | 1 | 1.350 | 1.350 | 16.200 | 16.200 | 9.450 |
| თანაშემწე საქმეთა მმართველისა | 1 | 1.000 | 1.000 | 12.000 | 12.000 | 7.000 |
| მინისტრ-თავმჯდომარის მდივანი | 1 | 1.000 | 1.000 | 12.000 | 12.000 | 7.000 |
| მინისტრ-თავმჯდომარის ადიუტანტი | 1 | 650 | 650 | 7.800 | 7.800 | 4.550 |
| განყოფილება I. | | | | | | |
| სამდივნო | — | — | — | — | — | — |
| მდივანი | 2 | 750 | 1.500 | 9.000 | 18.000 | 10.500 |
| განყოფილება II. | | | | | | |
| საზოგადო საქმეთა: | | | | | | |
| საქმის მწარმოებელი | 1 | 600 | 600 | 7.200 | 7.200 | 4.200 |
| მისი თანაშემწე | 2 | 500 | 1.000 | 6.000 | 12.000 | 7.000 |
| განყოფილება III. | | | | | | |
| საკანონმდებლო: | | | | | | |
| საქმის მწარმოებლი | 1 | 600 | 600 | 7.200 | 7.200 | 4.200 |
| განყოფილება IV. | | | | | | |
| ბუხგალტერი | 1 | 600 | 600 | 7.200 | 7.200 | 4.200 |
| ეკზეკუტორი | 1 | 400 | 400 | 4.800 | 4.800 | 2.800 |
| ექსპედიტორი | 1 | 450 | 450 | 5.400 | 5.400 | 3.150 |
| მისი თანაშემწე: | | | | | | |
| მეტი ჯამაგირით | 1 | 400 | 400 | 4.800 | 4.800 | 2.800 |
| ნაკლები ჯამაგირით | 1 | 350 | 350 | 4.200 | 4.200 | 2.450 |
| მანქანაზე გადამწერი | 6 | 300 | 1.800 | 3.600 | 21.600 | 12.600 |
| მორიგი მოხელე | 1 | 350 | 350 | 4.200 | 4.200 | 2.450 |
| კანცელარიის მოხელე | 2 | 300 | 600 | 3.600 | 7.200 | 4.200 |
| ჯამი | 25 | — | 12.650 | — | 151.800 | 88.550 |

დამატებანი: 1) საქმეთა მმართველის მეორე თანაშემწის თანამდებობისათვის დროებით, ამა 1918 წლის დამლევამდე . . . 7.000 მან.

2) საკანცელარიო, საფოსტო-სატელეგრაფო სატელეფონო და სხვა ამგვარი ხარჯებისათვის . . . 10.000 მან

3) წიგნთსაცავისათვის . . . 2.000 მან

ჯამი. 19.000 მან.

მთელი ჯამი ხარჯთაღრიცხვისა. . . . 107.550 მან.

9 ივლისი 1918 წ.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

# შტატი

ეროვნული საბჭოს კანცელარიისა.

| №№ რიგზე. | თანამდებობანი. | რიცხვი თანამდებ. | თითოს თვიური მან. | ყველას თვიური მან. | ყველას ივნისის 1-ლი წლის დამლევამდე. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საბჭოს კანცელარიის გამგე | 1 | 1000 | 1000 | 7000 |
| 2 | მისი ამხანაგი. | 1 | 850 | 850 | 5950 |
| 3 | საბიუჯეტო და საფინანსო განყოფილების საქმეთა მმართველი. | 1 | 700 | 700 | 4900 |
| 4 | სამხედრო განყოფილების საქმეთა მმართველი. | 1 | 700 | 700 | 4900 |
| 5 | თავმჯდომარის პირადი მდივანი. | 1 | 750 | 750 | 5250 |
| 6 | უფროსი საქმის მწარმოებელი. | 6 | 650 | 3900 | 27800 |
| 7 | უმცროსი საქმის მწარმოებელი. | 3 | 500 | 1500 | 10500 |
| 8 | ექსპედიტორი. | 1 | 500 | 500 | 3500 |
| 9 | ექსპედიტორის უფროსი თანაშემწე. | 1 | 450 | 450 | 3100 |
| 10 | თანაშემწე მეორე | 1 | 400 | 400 | 2800 |
| 11 | თანაშემწე მესამე. | 1 | 350 | 350 | 2350 |
| | მანქანით გადამწერი: | | | | |
| 12 | უფროსი კატეგორიისა. | 4 | 400 | 1600 | 11200 |
| 13 | უმცროსი კატეგორიისა. | 3 | 300 | 900 | 6300 |
| 14 | სტენოგრაფიულ ოქმების რედაქტორი. | 2 | 500 | 1000 | 7000 |
| | სტენოგრაფ. ოქმების შემდგენელნი: | | | | |
| 15 | უფროსი. | 2 | 700 | 1400 | 9800 |
| 16 | უმცროსი | 6 | 500 | 3000 | 21000 |
| 17 | ეგზეკუტორი. | 1 | 450 | 450 | 3150 |
| 18 | მისი თანაშემწე | 1 | 300 | 300 | 2100 |
| 19 | ქვესტორი | 1 | 650 | 650 | 4550 |
| 20 | ქვესტორის თანაშემწე | 1 | 450 | 450 | 3100 |
| 21 | უმცროსი | 1 | 400 | 400 | 2800 |
| 22 | ბუხგალტერი. | 1 | 600 | 600 | 4200 |
| 23 | ხაზინადარი | 1 | 500 | 500 | 3500 |
| 24 | კანცელარიის მოხელე | 1 | 250 | 250 | 1750 |
| 25 | ბიბლიოთეკის გამგე | 1 | 600 | 600 | 4200 |
| 26 | ბიბლიოთეკის გამგის თანაშემწე | 1 | 400 | 400 | 2800 |
| | ჯამი | 45 | — | 23600 | 165200 |

შენიშვნა: ყველა ამ შტატებში მოხსენებული თანამდებობის პირნი სახელმწიფო სამსახურში ირიცხება.

## სხვა და სხვა ხარჯები.

1. საკანცელარიო, საფოსტო-სატელეგრაფო, სამეურნეო (ინვენტარის შეძენა) და სხვა მოულოდნელი ხარჯი . 25000 მან.
2. გარეშე, დროებით მოწვეულ, მომუშავეთა გასამჯელო . 5000 მან.
3. მოსამსახურეთათვის სხვა და სხვა შემთხვევის გამო დახმარების მისაცემად . . . 5000 მან.
4. საბიბლიოთეკო . . . . . . 120000 მან.
5. სასტამბო . . . . . . . . 25000 მან.
6. საბჭოს წევრთა საგზაო და დღიური . . . . . . . 10000 მან.

ჯამი. 190000 მან.

სულ საერთო ხარჯ. 355200 მან.

12 ივლისი, 1918 წ.

ეროვნულ საბჭოს თამჯდომარე ნ. ჩხეიძე.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## ხარჯთ აღრიცხვა

სახალხო სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსებისა.

1. მსმენელთათვის ხარჯათ სამი თვის განმავლობაში (თვეში თითოეულს 150 მ. . 135.000 მ.
2. საგზაო ხარჯი (თითოს საშუალოდ 100 მ. . . . . . 30.000 მ.
3. კანცელარიის ხარჯები ათ ადგილას 5.000 მ.
4. კურსების, გამგეთა და ხელმძღვანელთა გასამრჯელო, 10 გამგეს (თითოს თვეში 200 მ.). . . . . . 6.000 მ.
   ექვს-ექვს მასწავლებელს თითო ადგილზე (თითეულს 400 მ. თვეში) . 72.000 მ.
5. ხარჯი სანიმუშო სკოლების მოსაწყობად (თითოზე თვეში ასი მანეთი). 1.000 მ.
6. ჯამაგირი დარაჯებს (თვეში თითოს 50 მ.) . . . . . 1.000 მ.
7. მოულოდნელი ხარჯი (თითო სკოლაზე 200 მ.) . . . . . 2.000 მ.

ჯამი 252.500 მ.

შენიშვნა: I. იმ ადგილის მცხოვრებთ, სადაც გამართულია კურსები არც დიეტა და არც საგზაო ხარჯი არ მიეცემა.

2 საგზაო ფული მიეცემა მსმენელს თანახმად ნამდვილად გაწეულ ხარჯისა.

16 ივლისი, 1918 წ.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

# შტატი

საქართველოს სამხედრო გზის საგანგებო სადარაჯო რაზმისა.

| თანამდებობა | რაოდენობა თანამდებობის პირთა. | თვეში თითოს მან. | ყველას თვეში მან. | სულ სამ თვეში მან. |
|---|---|---|---|---|
| რაზმის უფროსი. | 1 | 600 | 600 | 1.800 |
| რაზმის უფროსის თანაშემწე. | 2 | 500 | 1000 | 3.000 |
| უფროსი მოდარაჯე | 15 | 300 | 4500 | 13.500 |
| უმცროსი მოდარაჯე | 355 | 250 | 38750 | 266.250 |
| ჯამი | | | | 284.550 |

შენიშვნა: რაზმში მოსამსახურეს მიეცემა სახელმწიფო ხარჯით ჯარისკაცის ულუფა, ბინა განათებით და გათბობით, ხოლო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი დაეთმობა საინტენდანტო უწყების ფასად.

ამ რაზმის შეიარაღება თოფით, ტყვიისმფრქვეველით და სხვა სასროლი იარაღით და აგრეთვე მიწოდება საბარგო ურმების და მოწყობა საექიმო დახმარების დაევალოს სამხედრო მინისტრს, რომელიც ამისთვის საჭირო განსაზღვრულ ხარჯის რაოდენობას დამატებით ხარჯთაღრიცხვაში შეიტანს მიღებული წესისამებრ.

12 ივლისი, 1918 წელი.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## განცხადებები

დავკარგე: ორი ტალონი ადგილობრივ საინტენდანტოსგან მოცემული ალექსანდროპოლის ადგილობრივ ასეულის უფროსის სახელზე. პირველი მიღებული 26 ივნისს, 1918 წ. № 163 508. 1085 მანეთის და მეორე მიღებული 25 ივნისს, 1918 წ. № 163572 30000 მან.

აგრეთვე საჩუქრის ფურცელი პრაპორშჩიკ კეოსიანცისა. გთხოვთ ჩასთვალოთ ისინი უვარგისად.

ალექსანდროპოლის ადგილობრივ ასეულის უფროსი პარუჩიკი კეოსაიანცი.

(3—3)

ანდრია კრინოსოვი აცხადებს, რომ მას ჯიბიდან ამოაცალეს ტალონი № 131524 1000 მ. და 46 კ., სამსახურის ბარათი დამცველი შტაბის მიერ მიცემული და პიროვნების მოწმობა აგრეთვე შტაბისა.

თბილისის ქალაქის მილიციის უფროსი აცხადებს: ტფილისის მცხოვრებმა ნინო არტემის ასულმა მკრტუმიანცმა განაცხადა, რომ მას დაუკარგავს მოწმობა, აღნიშნული 15 ოქტომბერის 1879 წ-ს რეესტრში № 1212-თ. ამ საბუთის მპოვნელი ვალდებულია წარმოადგინოს ის მილიციის სამმართველოში.

26 ივლისი 1918 წ.

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი ვ. დ. საყვარელიძე.